

2013 წლის 27 ოქტომბრის  
საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი

ადამიანის უფლებათა ცენტრი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

მონიტორინგი განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“  
ფინანსური მხარდაჭერით

თბილისი, 2013 წელი

**ანგარიშის ავტორები:** ალექო ცქიტიშვილი, თამარ ავალიანი

**თარგმანი:** ნინო ტლაშაძე, ნინო ცაგარეიშვილი

## მონიტორინგი განახორციელა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

### **მისამართი:**

0160 თბილისი , მ. ქანთარიას ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48

ფაქსი: (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: [hridc@hridc.org](mailto:hridc@hridc.org)

ვებ-პორტალი: <http://www.humanrights.ge>, <http://www.hridc.org>

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.

## სარჩევი

შესავალი .....	5
საარჩევნო სისტემა .....	7
საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი მუშაობის შეფასება .....	7
თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის შეფასება .....	9
წინასაარჩევნო გარემოს შეფასება.....	10
კენჭისყრის დღის შეფასება და დადებითი ტენდენციები.....	11
კენჭისყრის დღის დარღვევები და ხარვეზები.....	13
ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელშემშლის ფაქტები.....	21
დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშემშლის ფაქტები.....	22
ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა – 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დამახასიათებელი ნიშანი.....	24
ხმის დათვლის პროცესი .....	25
კენჭისყრის დღის საჩივრები და შენიშვნები ჩანაწერთა წიგნში .....	26
რეკომენდაციები.....	27

## შესავალი

2013 წლის აგვისტოდან ადამიანის უფლებათა ცენტრი ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს - „2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი“.

2013 წლის 4 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტმა, საკონსტიტუციო მოთხოვნების შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თარიღად 27 ოქტომბერი გამოაცხადა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნების საარჩევნო კამპანია მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და საპარლამენტო ოპოზიციურ პარტია – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის დაძაბული კოჭაბიტაციის ფონზე წარიმართა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, საქართველოში არჩევნების გზით პირველად შეიცვალა ხელისუფლება, რაც ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდმა მთლიანობაში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა დადებითი შეფასება დაიმსახურა<sup>1</sup>.

2012 წელთან შედარებით, 2013 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მედიაგარემო იყო პლურალისტური. საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა, ინფორმაცია მიეღო სხვადასხვა მედიასაშუალებებისგან. პოლიტიკური გაერთიანებები თავისუფლად აწარმოებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას და დაუბრკოლებლად აწვდიდნენ ინფორმაციას თავიანთ ამომრჩევლებს.

საერთაშორისო-სადამკვირვებლო ორგანიზაციათა შეფასებით „2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები გამოირჩეოდა საპრეზიდენტო კანდიდატთა სიმრავლით. ცენტრალური საარჩევნო კომისია გამჭვირვალე და ინკლუზიური მიდგომით ახორციელებდა კანდიდატების რეგისტრაციის პროცესს“<sup>2</sup>. პარტიებსა და საინიციატივო ჯგუფებს ცესკოში შეჰქონდათ განაცხადი, რის შემდეგაც საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, მათ მოეთხოვებოდათ ამომრჩეველთა ხელმოწერების გარკვეული რაოდენობის შეგროვება და წარმოდგენა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო 54 განაცხადი, მათგან 42 საინიციატივო ჯგუფების, ხოლო 12 - პოლიტიკური პარტიების მიერ იყო შეტანილი. ცესკომ დაარეგისტრირა 23 საპრეზიდენტო კანდიდატი: პოლიტიკური პარტიების მიერ

<sup>1</sup> იხ: არასამთავრობო ორგანიზაციების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება, <http://www.isfed.ge/main/483/geo/>

<sup>2</sup> იხ: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო, საპრეზიდენტო არჩევნები, 27 ოქტომბერი, 2013, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისია (OSCE/ODIHR), 9

წამოყენებული 10 კანდიდატი და 13 დამოუკიდებელი კიანდიდატი<sup>3</sup>. სამი კანდიდატი იყო ქალი. შვიდმა კანდიდატმა თავად მოხსნა კანდიდატურა, 24 მსურველს კი სხვადასხვა კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო უარი ეთქვა რეგისტრაციაზე<sup>4</sup>. 9 მსურველმა საჩივარი შეიტანა ცესკოში, მათგან 4 სარჩელი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს ეხებოდა.

2013 წლის 3 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად სალომე ზურაბიშვილის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს უარი უთხრა რეგისტრაციაზე. ცესკოს 3 სექტემბრის განკარგულება სალომე ზურაბიშვილმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. 6 სექტემბერს საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა ცესკოს გადაწყვეტილება, რის შემდეგაც სალომე ზურაბიშვილმა საჩივრით ზემდგომ ინსტანციებს მიმართა. საბოლოოდ, ზურაბიშვილის საჩივარი არც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიხედვით, სალომე ზურაბიშვილს, ორმაგი მოქალაქეობის გამო (საქართველო-საფრანგეთი), 27 ოქტომბრის არჩევნებში პრეზიდენტობის თანამდებობაზე კენჭისყრის უფლება არ მიეცა.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებულ თავისუფალი არჩევნების უფლებას და ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის კოდექსის 1.1.ბ მუხლს, რომლის თანახმადაც „არჩევნების ორგანიზება უნდა განხორციელდეს მიუკერძოებელი საარჩევნო კომისიის მიერ, მისი გადაწყვეტილებების ეფექტური გასაჩივრების მექანიზმის უზრუნველყოფით“<sup>5</sup>. პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველს სალომე ზურაბიშვილს წაერთვა პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობა, რითაც ხელყოფილ იქნა სამართლიანი და თანასწორი არჩევნების პრინციპი.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ცალკე და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად გააპროტესტა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილება სალომე ზურაბიშვილისა და ზურაბ წიწუაშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად

<sup>3</sup> 2013 წლის 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ საპრეზიდენტო კანდიდატთა სია, ცენტრალური საარჩევნო კომისია, 19 სექტემბერი 2013, <http://www.cec.gov.ge/ge/page/2013-wlis-27-oqtombris-prezidentis-archevnebstvis-registirebuli-saprezidento-kandidatebi-3134>

<sup>4</sup> 24-დან 5-ს ორმაგი მოქალაქეობის გამო ეთქვა უარი რეგისტრაციაზე, 12-ს უარი ეთქვა იმის გამო, რომ დადგენილ ვადაში არ წარმოადგინეს მხარდამჭერთა სია; ერთს უარი ეთქვა იმის გამო, რომ წარმოადგინა მხარდამჭერთა დადგენილზე ნაკლები რაოდენობის ხელმოწერები; სამს უარი ეთქვა არასრული დოკუმენტაციის წარდგენის გამო, ორს - მხარდამჭერთა სიებში არსებული უზუსტობების გამოუსწორებლობის გამო და ერთს - საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო. ორმაგი მოქალაქეობის მქონე კანდიდატებს შორის, რომლებსაც უარი ეთქვა რეგისტრაციაზე იყვნენ სალომე ზურაბიშვილი, ტარიელ ხვედელიძე, მერაბ სულიაშვილი, გიორგი გახოკია და ზურაბ წიწუაშვილი.

<sup>5</sup> The Code of good practice in electoral matters, Venice Commission, Council of Europe, article 1.1, p.b

დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ და ცესკოს მხრიდან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმა საქართველოს კონსტიტუციის არასწორ ინტერპრეტაციად მიიჩნია<sup>6</sup>.

## საარჩევნო სისტემა

2013 წელს საარჩევნო კანონმდებლობა არსებითად შეიცვალა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი რეკომენდაციების საფუძველზე<sup>7</sup>. 2013 წლის აგვისტოს თვეში ამოქმედებული ცვლილებები მოიცავს დამატებითი დაცვის მექანიზმებს ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და თანასწორი საარჩევნო კამპანიის ჩატარების კუთხით.

მიუხედავად დადებითი ცვლილებებისა, საარჩევნო კანონმდებლობის ზოგიერთი რეგულაცია კვლავ არასწორი პრაქტიკის განვითარების საფრთხეს შეიცავს. ამ ტიპის რეგულაციებს მიეკუთვნება ის, თუ რამდენად არის დაშვებული საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე დასწრება საჯარო მოხელეთათვის, რომელთაც კანონით ეკრძალებათ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა და კამპანიის წარმოება. 2013 წლის 8 აგვისტოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის შექმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ განმარტა, რომ პასიური დასწრება საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე არ იყო აკრძალული<sup>8</sup>.

## საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი მუშაობის შეფასება

საქართველოში არჩევნები იმართება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო); 73 საოლქოსაარჩევნო კომისია და 3,655 საუბნო საარჩევნო კომისია. ამასთანავე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და სამხედრო ბაზებზე გაიხსნა 34 სპეციალური საარჩევნო უბანი. 52 საარჩევნო უბანი გაიხსნა საზღვარგარეთ დიპლომატიურ და საკონსულო მისიებში, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ მოქალაქეთათვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.<sup>9</sup>

<sup>6</sup> იხ: განცხადებები <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17052&lang=geo>

<sup>7</sup> იხ: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო, საპრეზიდენტო არჩევნები, 27 ოქტომბერი, 2013, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისია (OSCE/ODIHR), 5

<sup>8</sup> იხ: თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის 2013 წლის 13 სექტემბრისა და 11 ოქტომბრის რეკომენდაციები; <http://www.justice.gov.ge/Page/index?code=3ef73d52-b38e-487d-905b-ab361b0f8ce8>

<sup>9</sup> იხ: ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ, <http://www.cec.gov.ge/ge/saarchevno-olqebi-da-ubnebi-229-ge>

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ცესკომ გამჭვირვალედ და ობიექტურად იმუშავა. მან თავი გაართვა დადგენილ ვადაში საჭირო ღონისძიებების გატარებას. არასამთავრობო ორგანიზაციები სრულად იყვნენ ჩართულნი საარჩევნო პროცესში და მათი ინფორმირება სათანადოდ იყო უზრუნველყოფილი. დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისათვის ცესკოს-ს სხდომები ღია იყო. სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ ცესკო-დან საჯარო ინფორმაციის მიღება არ წარმოადგენდა პრობლემას.

როგორც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, საარჩევნო ადმინისტრაციათა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მეტ-ნაკლებად გადაჭრილია. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ცესკოს წევრები სადავო საკითხებზე გადაწყვეტილებების განხილვისას დამოუკიდებლად მოქმედებას ვერ ახერხებდნენ, ადგილი ჰქონდა ყველა ღონის საარჩევნო კომისიის წევრებზე ზეწოლას, დაშინებას და მუშაობაში ხელშეშლას. მიკერძოებულობა და პოლიტიკური ნიშნით გადაწყვეტილებების მიღება საარჩევნო კომისიათა მთავარი პრობლემა იყო. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა ეფექტური და გამჭვირვალე გახდა, რამაც განაპირობა საზოგადოების ნდობის გაზრდა საარჩევნო ადმინისტრაციათა მიმართ.

რაც შეეხება საარჩევნო კომისიათა დაკომპლექტების წესს, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიები, გარდა პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის წევრებისა, მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის - კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული კომისიის წევრებით დაკომპლექტდა, რაც კომისიათა წარმომადგენლობითობის კუთხით გარკვეულ კრიტიკას იმსახურებს. არჩევნებზე ადგილი ჰქონდა იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საუბნო-საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში სხვადასხვა პარტიებს წარმოადგენდნენ საარჩევნო ადმინისტრაციებში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ყველა ღონის საარჩევნო კომისია 13 წევრისგან შედგება, რომელთაგან 7 წევრს სახელმწიფო დაფინანსების მქონე პოლიტიკური პარტიები ასახელებენ.<sup>10</sup> ცესკო-ს 5 წევრი ინიშნება პარლამენტის მიერ, ცესკოს თავმჯდომარის დანიშვნის დამატებითი პროცედურის ჩათვლით. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დარჩენილი ექვსი წევრი ინიშნება ზემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ საჯარო კონკურსის საფუძველზე.

---

<sup>10</sup> საპრეზიდენტო არჩევნებში შემდეგი პარტიები ღებულობდნენ ყველაზე მაღალ სახელმწიფო დაფინანსებას: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო, საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატები, ასევე, შემდეგი პოლიტიკური მოძრაობები: „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „ეროვნული ფორუმი“.



ცესკოს წევრთა ფორმირების პროცესში პარლამენტს სიმბოლური როლი აკისრია, რაც ხელყოფს ცესკოს წევრთა დამოუკიდებლობის გარანტიებს. საკანონმდებლო ორგანოს მიერ ცესკოს დაკომპლექტება გამოიწვევს ამ ორგანოს დამოუკიდებლობის გაზრდას. ცესკოს წევრობის კანდიდატთა შერჩევისა და წარდგინების უფლების მინიჭება პარლამენტისათვის, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოსათვის, ხელს შეუწყობს კომისიის წევრთა დამოუკიდებლობის გარანტიებს.

ვენეციის კომისიის დასკვნით, „არ არსებობს სტანდარტული მოდელი საარჩევნო კომისიების ფორმირებისა, საარჩევნო კოდექსმა უნდა უზრუნველყოს საარჩევნო კომისიების დამოუკიდებლად ფუნქციონირება და მათი წევრების დამოუკიდებლობის გარანტიები“.<sup>11</sup>

## თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის შეფასება

საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციისა და გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების გზით თავისუფალი და სამართლიანი გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს #40 ბრძანებით შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია<sup>12</sup>.

უწყებათაშორისმა კომისიამ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამუშაოს თავი კარგად გაართვა, თუმცა იყო პოლიტიკურ ნიადაგზე დაპირისპირების შემთხვევები. კომისიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც ხელი შეუწყო წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.

პოლიტიკურ პარტიებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საშუალება ჰქონდათ, უშუალოდ დაეყენებინათ საარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები კომისიის წინაშე და კომისიის წევრებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით.

კომისიამ გამოსცა 16 რეკომენდაცია საარჩევნო პროცესის სხვადასხვა მონაწილის მიმართ, რომელიც ასევე მოიცავდა რეკომენდაციას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, რათა მათ გამოეცათ განმარტებები საჯარო

---

<sup>11</sup> ob: European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Draft joint Opinion on the Draft Election Code of Georgia, Opinion No.617/2011

<sup>12</sup> ob: თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შესახებ ინფორმაცია, <http://www.justice.gov.ge/Page/index?code=9e19457b-c149-435c-b82b-900d0ef866ed>

მოხელეებისთვის იმის შესახებ, თუ რისი უფლება ჰქონდათ საარჩევნო პერიოდში და თავი შეეკავებინათ თანამშრომელთა გათავისუფლებისაგან.

უწყებათაშორისმა კომისიამ განიხილა 80 შემთხვევაზე მეტი, რომელთა შესახებაც ცხრა სხდომის დროს წერილობით ან ზეპირად ეცნობა<sup>13</sup>. შემთხვევების უმრავლესობა ეხებოდა საჯარო მოხელეების მხრიდან აკრძალულ აგიტაციას, პლაკატების დაზიანებას და პარტიათა აქტივისტებზე ძალადობას.

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე კომისიის მექანიზმის ეფექტურობის თაობაზე საერთაშორისო-სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, „უწყებათაშორის კომისიაში საჩივრების შეტანის პრაქტიკა, საარჩევნო კომისიების და სასამართლოს ნაცვლად, რომელთაც აქვთ სანქციების დაკისრების უფლებამოსილება, საერთაშორისო სტანდარტების და კარგი პრაქტიკის შესაბამის დავების ეფექტურ გადაწყვეტას არ უზრუნველყოფს“.<sup>14</sup>

## წინასაარჩევნო გარემოს შეფასება

2013 წლის წინასაარჩევნო პერიოდი დადებით შეფასებას იმსახურებს. იგი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით უფრო მშვიდ და სამართლიან გარემოში წარიმართა.

პოლიტიკური პარტიები დაუბრკოლებლად აწარმოებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას. რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში ნაკლები იყო ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნებით გამოყენების შემთხვევები<sup>15</sup>. ასევე, არსებითად შემცირდა ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები.

---

<sup>13</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, საარჩევნო დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილია რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს, ადმინისტრაციულ ორგანოს, ცესკოს, გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით. კომისიის უფლებამოსილებას წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირება.

<sup>14</sup> იხ: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო, საპრეზიდენტო არჩევნები, 27 ოქტომბერი, 2013, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისია (OSCE/ODIHR), 17;

<sup>15</sup> პრობლემას წარმოადგენდა პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის დასწრების ფაქტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შრომის კოდექსის ბეჭდური ვერსიის პრეზენტაციაზე და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ თუშეთობის დღესასწაულზე ომალოში, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატმა ვერტმფრენით იმგზავრა. ამ ტიპის ღონისძიებებში პრეზიდენტობის კანდიდატის მონაწილეობას შესაძლებელი იყო წარმოეშვა რიგი საარჩევნო კანონდარღვევისა. საარჩევნო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ღონისძიებებზე აგიტაცია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად ითვლება. საპრეზიდენტო კანდიდატის საჯარო ღონისძიებაზე დასწრება წარმოადგენს მისთვის პლატფორმის დათმობას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების

რაც შეეხება მედიაგარემოს, ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წინასწარი შეფასებით, „2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს საქართველოში მედიაგარემო უფრო ღია იყო და ჟურნალისტები ყოვლისმომცველად აშუქებდნენ მთავარ პოლიტიკურ მოვლენებს“.<sup>16</sup> საპრეზიდენტო კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ, თავიანთი საპროგრამო დებულებები მედიაში დაუბრკოლებლად წარმოედგინათ და გაეცნოთ თავიანთი ამომრჩევლებისათვის.

წინასაარჩევნო პროცესის ტენდენციას წარმოადგენდა ის, რომ მედიასაშუალებები უმეტესწილად კონცენტრირებულნი იყვნენ საპარლამენტო პოლიტიკური გაერთიანებებისა და მთავრობის ღონისძიებების გაშუქებაზე. შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა კონკრეტული საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებების გაშუქებას.

ამასთანავე, არსებითად შემცირდა 2013 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობისათვის უკანონოდ ხელშეშლისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის ფაქტები.

პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახური პოლიტიკური მოტივით, თვითნებურად და დაუსაბუთებლად, არაადეკვატურ სანქციებს ადებდა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს. აუდიტის სამსახურს სახელმწიფო პოლიტიკური ანგარიშწორებისა და რეპრესიის საშუალებად იყენებდა. რაც შეეხება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, აუდიტის სამსახური გამოირჩეოდა ნაკლები პოლიტიზებულიობით. არასამთავრობო სექტორს ამ უწყების მიმართ თითქმის არ ჰქონდა პრეტენზიები.

## კენჭისყრის დღის შეფასება და დადებითი ტენდენციები

ადამიანის უფლებათა ცენტრი 27 ოქტომბრის არჩევნებს საქართველოს 6 რეგიონში დააკვირდა (კახეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო). ორგანიზაციის განკარგულებაში იყო 36 დამკვირვებელი, რომლებიც არჩევნებს 18 მუნიციპალიტეტის ქალაქებსა და სოფლებში აკვირდებოდნენ. 27 ოქტომბერს

---

დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა სახელისუფლებო ან ოპოზიციური კანდიდატების სასარგებლოდ საჯარო მოხელეების მიერ აგიტაციაში მონაწილეობის მიღება (<http://www.youtube.com/watch?v=-tOFSxj8VI4>).

<sup>16</sup> ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წინასწარ შეფასება, რომელიც არჩევნების მეორე დღეს, 28 ოქტომბერს გამოქვეყნდა; ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE/PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), ევროპარლამენტი (EP) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATO PA) ერთობლივ სადამკვირვებლო მისიას წარმოადგენდა.

დამკვირვებლების ნაწილი მთელი დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებზე იყო მიმაგრებული, ნაწილი კი მობილურ ჯგუფებში გადანაწილდა და უბნიდან უბანზე მოძრაობდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტ-გამოცემა [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge) სისტემატიურად აშუქებდა წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობასა და დარღვევებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. Humanrights.ge არჩევნების დღესაც აქტიურად მუშაობდა და საზოგადოებას მყისიერად აწვდიდა ინფორმაციას იმ დარღვევების შესახებ, რასაც უბნებზე დამკვირვებლები აფიქსირებდნენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარდა. კენჭისყრის პროცესი წარმართა, ძირითადად, არსებითი დარღვევების გარეშე. პროცესის განმავლობაში შეინიშნებოდა დარღვევები, რომელსაც არ შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა კენჭისყრის შედეგზე.

დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული დარღვევების უმეტესობა გამოწვეული იყო არა არჩევნების გაყალბების მცდელობით ან რომელიმე საარჩევნო სუბიექტისადმი მიკერძოებით, არამედ საარჩევნო კომისიების წევრთა არაკვალიფიციურობით და საარჩევნო პროცედურების არასათანადო ცოდნით. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, საარჩევნო უბნებზე პრაქტიკულად აღარ ხდებოდა ამომრჩეველთა ორგანიზებული მიყვანა მიკროავტობუსებით და მათი კონტროლი პარტიების კოორდინატორთა მიერ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს აღნიშნული სიმპტომატურ დარღვევას წარმოადგენდა. ამ დროს ამ ტიპის დარღვევებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევდა საარჩევნო პროცესის შეფერხებას.

მსგავს არაჯანსაღ აქტიურობას წინა წლებში ადგილი ჰქონდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ე.წ. კოორდინატორების მხრიდან, რასაც ადამიანის უფლებათა ცენტრი ამომრჩეველებზე ზეწოლის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევდა. 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა ამგვარი მასობრივი მობილიზება საარჩევნო უბნებზე, პრაქტიკულად, არ ყოფილა.

მნიშვნელოვნად იკლო სპეცუზუნების რაოდენობამ, რის შესახებაც საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა საზოგადოებას დროულად მიაწოდეს ინფორმაცია. სამხედრო მოსამსახურეებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დიდ ნაწილს საშუალება მიეცა, ხმა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მიეცა სასურველი კანდიდატისთვის. წინა წლებში ჩატარებულ არჩევნებში ტენდენციის სახე ჰქონდა საჯარისო ნაწილებში ყაზარმული მდგომარეობის გამოცხადებას, რის გამოც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას, ხმა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მიეცათ. ხოლო სპეცუზუნებზე, სადაც ისინი ხმას აძლევდნენ, არჩევნები მაშინდელი

მმართველი პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 100% - იანი გამარჯვებით მთავრდებოდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არჩევნებზე აკვირდებოდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებს კახეთსა და ქვემო ქართლში. არჩევნები მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარდა იმ სოფლებში, სადაც წინა არჩევნებზე ამომრჩევლებს, ფაქტობრივად, წართმეული ჰქონდათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება. ამავე დროს, ამ სოფლებში თვალშისაცემი იყო ამომრჩეველთა ძალიან დაბალი აქტივობა. ერთეული შემთხვევის გარდა, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა ასევე დააფიქსირეს, არ ხდებოდა საარჩევნო უბნებზე მიკროავტობუსებით მასობრივი მიყვანა, მით უფრო - ამა თუ იმ კანდიდატისათვის ხმის მიცემის იძულება<sup>17</sup>.

## კენჭისყრის დღის დარღვევები და ხარვეზები

27 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის პროცესის განმავლობაში შეინიშნებოდა დარღვევები, რომელსაც არ შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა კენჭისყრის შედეგზე და განპირობებული იყო საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრთა არასათანადო კვალიფიკაციით.

საარჩევნო პროცესის ხარვეზად კვლავ რჩება უბნებზე საარჩევნო ბიულეტენების ნაკლებობა, რასაც ასეთივე ტენდენციის სახე ჰქონდა გასული წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას. საუბნო-საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ბიულეტენების მცირედი დანაკლისი არჩევნების პროცესს ხელს არ შეუშლიდა, რადგან უბნებზე ამომრჩეველთა 100%-იანი აქტიურობას არ ელოდებოდნენ<sup>18</sup>.

---

<sup>17</sup> იხ: ადამიანის უფლებათა ცენტრის შემაჯამებელი ინფორმაცია 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტ-გამოცემა [www.humanrights.ge;](http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17250&lang=geo)  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17250&lang=geo>

<sup>18</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის თითქმის ყველა დამკვირვებელმა დააფიქსირა ცდომილება ამომრჩეველთა რაოდენობასა და მიღებული ბიულეტენებისა და კონვერტების რაოდენობას შორის. მაგალითად, ქარელის მუნიციპალიტეტის #33 ოლქის #2 უბანზე ერთიანი სიაში იყო 1521 ამომრჩეველი, სპეციალურ სიაში იყო 9 ამომრჩეველი, მიღებული ბიულეტენების რაოდენობა შეადგენდა 1450-ს, კონვერტების რაოდენობა - 1500-ს. ამავე მუნიციპალიტეტის #29 უბანზე ბიულეტენების რაოდენობა იყო უბანზე რეგისტრირებულ ამომრჩეველზე ნაკლები, მიღებული ბიულეტენების რაოდენობა შეადგენდა 1500-ს, კონვერტი კი იყო - 1576; საგარეჯოს რაიონის #11 ოლქის #48 უბანზე რეგისტრირებული იყო 1334 ამომრჩეველი, მიღებული ბიულეტენების რაოდენობა წარმოადგენდა 1200-ს. თერჯოლის #49 საარჩევნო ოლქის #1 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 1282 ამომრჩეველი, მიღებული ბიულეტენების რაოდენობა წარმოადგენდა 1150-ს, ხოლო სპეციალური კონვერტების რაოდენობა - 1282-ს. თერჯოლის #49 ოლქის 26-ე უბანზე რეგისტრირებული იყო 1090 ამომრჩეველი, საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა შეადგენდა - 1050-ს, მიღებული კონვერტების რაოდენობა - 1100-ს. იგივე მდგომარეობა შეინიშნებოდა, სიღნაღის #13 საარჩევნო ოლქის #1, #30 და #4 საარჩევნო უბნებზე, მარნეულის #87 საარჩევნო უბანზე, მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში განთავსებულ #21 საარჩევნო უბანზე, თერჯოლის #1, #2, #3, #4, #5, #6, #19, #22, #26 #27 საარჩევნო უბნებზე, კასპის რაიონის #30 საარჩევნო ოლქის #2 უბანზე, დუშეთის #28 საარჩევნო ოლქის #3 უბანზე, საჩხერის რაიონის #50 ოლქის #3 უბანზე, მარნეულის #22 ოლქის #3 უბანზე.

რამდენიმე საარჩევნო უბანზე საარჩევნო სუბიექტებს და პრეზიდენტობის კანდიდატებს თითო ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავდათ<sup>19</sup>. საარჩევნო უბნებზე ზოგიერთი საარჩევნო სუბიექტის ორ-ორი წარმომადგენლის დასწრება საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაციაა. ამ გზით ირღვევა კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, შესაბამის საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტს მხოლოდ თითო წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს. ცესკოს მხრიდან საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაცია, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ ცესკო საპრეზიდენტო არჩევნებს საპარლამენტო არჩევნების სპეციფიკით უდგება და არ ითვალისწინებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში საარჩევნო სუბიექტი არის არა პარტია ან საარჩევნო ბლოკი, არამედ პარტიის ან საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატი. ამდენად, არასწორია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენელთა დამატებით დაშვება საარჩევნო კომისიაში<sup>20</sup>.

იყო შემთხვევები, როდესაც კენჭისყრის პროცესს საარჩევნო უბანზე აკვირდებოდა ერთი არასამთავრობო ორგანიზაციიდან ორი წარმომადგენელი<sup>21</sup>. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვს ერთი და იმავე რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს.

---

ბათუმისა და ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქების 22 საარჩევნო უბანსა და ქარელის #33 ოლქის #1 საარჩევნო უბანზე.

<sup>19</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ინფორმაციით, ხელვაჩაურის რაიონის #11 და #94 საარჩევნო უბნებზე პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ორი წარმომადგენელი იყო წარმოდგენილი ([www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17262&lang=geo](http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17262&lang=geo)); მარნეულის #85 საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნების“ დამკვირვებლად 4 პიროვნება იყო დარეგისტრირებული. მცხეთის #27 საარჩევნო ოლქის #5 უბანზე პრეზიდენტობის კანდიდატს ნინო ბურჯანაძეს 3 წარმომადგენელი ჰყავდა წარგზავნილი. კომისიის წევრებმა ორ წარმომადგენელს უბნის დატოვებისკენ მოუწოდეს. მარნეულის #5 საარჩევნო უბანზე ერთი პოლიტიკური პარტიის ორი წარმომადგენელი იმყოფებოდა, რაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა რეაგირება მოახდინა. ერთ-ერთ დამკვირვებელს დაატოვებინეს უბანი.

<sup>20</sup> იხ: ადამიანის უფლებათა ცენტრის შემაჯამებელი ინფორმაცია 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტ-გამოცემა [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge); <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17250&lang=geo>

<sup>21</sup> წალენჯიხის რაიონის #68 საარჩევნო ოლქის #2 უბანზე დაკვირვებას ახორციელებდა ერთი და იმავე ორგანიზაციიდან 2 დამკვირვებელი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საარჩევნო კოდექსს, სადაც აღნიშნულია, რომ ერთი და იმავე ორგანიზაციიდან ერთ საარჩევნო უბანზე შესაძლებელია, დაკვირვებას ახორციელებდეს მხოლოდ ერთი დამკვირვებელი. დარღვევის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შეატყობინა საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. დარღვევა აღმოფხვრილ იქნა. წეროვანის #41 საარჩევნო უბანზე არასამთავრობო ორგანიზაცია - „ახალი თაობა, დემოკრატიული საქართველოსთვის“, ორი დამკვირვებელი ჰყავდა, რასაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის დროული რეაქცია მოჰყვა (<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17270&lang=geo>).

კენჭისყრის დღეს ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა ნაწილს არ ეკეთათ მათი სტატუსის დამადასტურებელი სამკერდე ნიშნები<sup>22</sup>. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი.

იყო შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უბნებზე ცხადდებოდნენ უკვე მარკირებული ამომრჩევლები ხმის მისაცემად<sup>23</sup>. საარჩევნო კოდექსის თანახმად, თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა, ხოლო მისი ვინაობა შეიტანება ჩანაწერთა წიგნში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები მყისიერად რეაგირებდნენ აღნიშნულ ფაქტებზე და კომისიის თავმჯდომარეს მოუწოდებდნენ აღმოეფხვრათ დარღვევები.

27 ოქტომბრის არჩევნებზე სიმპტომატური იყო დარღვევები, როდესაც ნაკადის მომწესრიგებელი საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრის უყურადღებობის გამო, ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში შედიოდა მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის გარეშე<sup>24</sup>. საარჩევნო უბნებზე ზოგჯერ შეინიშნებოდა ქაოტურობა, რაც გამოწვეული იყო ხარვეზებითამომრჩეველთა ნაკადის მოწესრიგებისას და მარკირების შემოწმების პროცედურის განხორციელებისას.

---

<sup>22</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა აღნიშნული დარღვევები დააფიქსირეს ქარელის მუნიციპალიტეტის #33 საარჩევნო ოლქის #2 უბანზე, მარნეულის საარჩევნო ოლქის #2 საარჩევნო უბანზე, კასპის #30 საარჩევნო ოლქის #1 უბანზე, მარნეულის საარჩევნო ოლქის #5 საარჩევნო უბანზე.

<sup>23</sup> ქუთაისის #40 საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად გამოცხადდა უკვე მარკირებული ამომრჩეველი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი და ქუთაისის მერიის თანამშრომელი იყო. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა ქუთაისის საარჩევნო ოლქის #82 საარჩევნო უბანზე, მაგრამ დამკვირვებელთა სათანადო რეაგირების შემდეგ, ამომრჩეველმა ხმა ხელმეორედ ვერ მისცა და მან დაუყოვნებლივ დატოვა საარჩევნო უბანი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მარნეულის რაიონის #22 საარჩევნო ოლქის #48 საარჩევნო უბანზე დააფიქსირა მარკირებული ამომრჩევლის გამოცხადება, რომელსაც კვლავ სურდა ხმის მიცემა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის რეაგირების შემდეგ, ამომრჩეველი არ იქნა დაშვებული უბანზე ხმის მისაცემად. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა ზუგდიდის #9 საარჩევნო უბანზე.

<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა მსგავსი ფაქტები დააფიქსირეს მარნეულის საარჩევნო ოლქის #5 საარჩევნო უბანზე, ქარელის #33 საარჩევნო ოლქის #2, #28, #29 და #34 საარჩევნო უბნებზე, კასპის რაიონის #30 საარჩევნო ოლქის #2 საარჩევნო უბანზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები დროულად და სათანადოდ რეაგირებდნენ დარღვევებზე, წერდნენ საჩივრებს და აფიქსირებდნენ ფაქტებს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც რეგისტრატორი საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები ამომრჩევლის სიაში მოძებნამდე ახორციელებდნენ მის მარკირებას<sup>25</sup>. აღნიშნული წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის არსებით დარღვევას. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს მის მარკირებას. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებს აღნიშნული დარღვევების შესახებ ინფორმაცია შეჰქონდათ ჩანაწერთა წიგნში და საქმის კურსში აყენებდნენ საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა ინფორმაციით, საარჩევნო უბნებზე აღნიშნებოდა შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველთა რეგისტრატორები საარჩევნო ბიულეტენებზე წინასწარ აკეთებდნენ ხელმოწერას და უსვამდნენ ბეჭედს დროის მოგების მიზნით, რაც წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის სერიოზულ დარღვევას<sup>26</sup>. კოდექსის თანახმად, რეგისტრატორი საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ხელს აწერს მის უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტენს ამოწმებს სპეციალური ბეჭდით. ცენტრის დამკვირვებლები კომისიის თავმჯდომარეებს დროულად აწვდიდნენ ინფორმაციას და დარღვევებს აფიქსირებდნენ ჩანაწერთა წიგნში.

კენჭისყრის დღეს შეინიშნებოდა პრობლემები სადემონსტრაციო ოქმის შევსებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს შემთხვევები, როდესაც სადემონსტრაციო ოქმში უბნის გახსნის შემდეგ არ ყოფილა აღნიშნული მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. ამასთანავე, კომისიის მდივანს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა 12:00 და 17:00 საათის მდგომარეობით შეტანილი არ ჰქონდა საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმში. ოქმი დაგვიანებით გამოიკრა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის დაჟინებული თხოვნის შემდეგ. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სადემონსტრაციო ოქმი ფანქრით იყო შევსებული. იყო შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, 12 საათის მონაცემები ოქმში შეიტანეს 12 საათამდე. ზოგიერთ შემთხვევაში სადემონსტრაციო ოქმში მითითებული არ იყო საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრები<sup>27</sup>.

<sup>25</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა ამ ტიპის სიმპტომატური დარღვევები დააფიქსირეს ზუგდიდის #9 საარჩევნო უბანზე, ქარელის #33 საარჩევნო ოლქის #2, #28, #29 და #34 საარჩევნო უბნებზე.

<sup>26</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა ამ სახის დარღვევები დააფიქსირეს მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში განთავსებულ #21 საარჩევნო უბანში, კასპის #30 საარჩევნო ოლქის #1 საარჩევნო უბანში.

<sup>27</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა აღნიშნული დარღვევები დააფიქსირეს მარნეულის #22 საარჩევნო ოლქის #5 და #2 საარჩევნო უბნებზე, ბათუმის #91, #92, #93, #94, #87, #86, #48, #73, #39, #60, #21, #20, #37, #7, #55, #28, #46, #63, #35 უბნებზე, ხელვაჩაურის #31, #1, #3 უბნებზე.



კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა ხარვეზები **საკონტროლო ფურცლის შევსებასა და მის მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით**. იყო შემთხვევები, როდესაც კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს დროულად არ ჰქონდათ შევსებული საკონტროლო ფურცელი. ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველი თავის ბიულეტენთან და კონვერტთან ერთად 15 წუთის მანძილზე იდგა და ელოდებოდა კომისიის წევრების მიერ საკონტროლო ფურცლის შევსებას. ამასთანავე, საკონტროლო ფურცლის მესამე ეგზემპლარს, რომელსაც საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ინახავს საარჩევნო ყუთებში (ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებში) არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით, არ ერტყა ბეჭედი.

დაფიქსირდა დარღვევა, როდესაც საკონტროლო ფურცელი მოათავსეს კონვერტში პირველი ამომრჩეველის მიერ შემოხაზულ ბიულეტენთან ერთად. აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა დაწერეს საჩივარი, რომელიც დიდი ძალისხმევით შედეგად, დაარეგისტრირა საუბნო-საარჩევნო კომისიის მდივანმა. საკონტროლო ფურცლის შევსებასთან დაკავშირებით სხვა დარღვევები შეეხებოდა კომისიის მდივნის მიერ საკონტროლო ფურცელში პირველი ამომრჩეველის მონაცემების არშეტანის ფაქტს, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ დაფიქსირებულ იქნა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში<sup>28</sup>.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საკონტროლო ფურცელი წარმოადგენს მნიშვნელოვან კენჭისყრის დღის დოკუმენტს. კანონის მიხედვით, კენჭისყრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ავსებენ საკონტროლო ფურცლებს (გარდა პირველი ამომრჩეველის შესახებ მონაცემებისა). საუბნო-საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი ხელს აწერს საკონტროლო ფურცელს. პირველი ამომრჩეველის მოსვლისას ამომრჩეველი გადის რეგისტრაციას, იღებს ბიულეტენს, რის შემდეგაც კომისიის მდივანს საკონტროლო ფურცელში შეაქვს პირველი ამომრჩეველის მონაცემები და ამომრჩეველებს ხელს აწერინებს მასზე. საკონტროლო ფურცელზე ასევე აღნიშნება მათი საარჩევნო ყუთებში ჩაგდების ზუსტი დრო. კომისიის თავმჯდომარე საკონტროლო ფურცლის ერთ ეგზემპლარს აგდებს ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორე ეგზემპლარს – გადასატან საარჩევნო ყუთში (არსებობის შემთხვევაში), ხოლო მესამე ეგზემპლარს ინახავს საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით. ამ მკაცრად გაწერილი პროცედურის დარღვევამ შეიძლება, საფრთხე შეუქმნას საარჩევნო პროცესის გამჭვირვალედ ჩატარების პრინციპს.

კენჭისყრის დღეს ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა შემთხვევა, როდესაც **სპეციალურ სიაში არ იყო შეყვანილი კომისიის რამდენიმე წევრი**. კომისიის

<sup>28</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა აღნიშნული დარღვევები დააფიქსირეს საგარეჯოს #11 საარჩევნო ოლქის #48 უბანსა და მარნეულის #22 ოლქის #5 საარჩევნო უბანზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სიაში კალმით გააკეთებდა მინაწერს და ასე ჩაწერდა კომისიის წევრებს. მიუხედავად დამკვირვებლების პროტესტისა, კომისიის თავმჯდომარემ სიაში კალმით მინაწერი მაინც გააკეთა. დარღვევის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი და ინფორმაცია მიაწოდა ცესკოს, რომელიც დამკვირვებელს დაჰპირდა დარღვევის დაუყოვნებლივ აღმოფხვრას, ცესკოს წარმომადგენლების უბანზე მისვლას, ოქმის დაწერას და მიწერილი კომისიის წევრების სიიდან ამოშლას<sup>29</sup>.

კენჭისყრის უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც 11 ამომრჩეველმა ისე მისცა ხმა, რომ რეგისტრატორი კომისიის წევრების ბეჭედს სპეციალური ნაკვეთური არ ჰქონდა გაკეთებული. ხუთი რეგისტრატორიდან სამს ნაკვეთურის გაკეთება დაავიწყდა. საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, ბეჭედს ნაკვეთური უბნის გახსნამდე, წილისყრის შემდეგ უკეთდება. ნაკვეთურის გაკეთება არის კიდევ ერთი დამატებითი რეგულაცია ამომრჩეველთა ხმების გაყალბების თავიდან ასაცილებლად<sup>30</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა შემთხვევა, როდესაც ერთ ამომრჩეველს ხელში ორი ბიულეტენი ეკავა და კონვერტში ჩადებას აპირებდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მყისიერი რეაგირების შემდეგ, დარღვევა აღმოფხვრილ იქნა<sup>31</sup>.

აღინიშნა დარღვევა, როდესაც ამომრჩეველებმა ბიულეტენები ყუთში ჩააგდეს სპეციალური კონვერტების გარეშე<sup>32</sup>. საარჩევნო კოდექსით გაწერილი პროცედურის თანახმად, ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან და სპეციალური კონვერტების ზედამხედველის მითითებით იღებს სპეციალურ კონვერტს და ათავსებს მასში ბიულეტენს. საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს, ხსნის საარჩევნო

---

<sup>29</sup> დარღვევა დაფიქსირდა ზუგდიდის საარჩევნო ოლქის #83 საარჩევნო უბანზე. დეტალური ინფორმაცია იხ: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17261&lang=geo>.

<sup>30</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დარღვევები დააფიქსირეს მარნეულის #22 საარჩევნო ოლქის #48 საარჩევნო უბანზე. ცენტრის იურისტმა დარღვევასთან დაკავშირებით შენიშვნა დააფიქსირა ჩანაწერთა წიგნში. საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დამკვირვებლის მითითების შემდეგ, დარღვევა აღმოფხვრა და ბეჭედებს ნაკვეთური გაუკეთა. მსგავსი დარღვევა 17:45 წუთზე დაფიქსირდა ლანჩხუთის #61 ოლქის #7 საარჩევნო უბანზე. ამ დროისთვის უბანზე ხმა მიცემული ჰქონდა 230 ამომრჩეველს.

<sup>31</sup> დარღვევას ადგილი ჰქონდა მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში განთავსებულ #21 საარჩევნო უბანზე.

<sup>32</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დარღვევა დააფიქსირა მარნეულის #85 საარჩევნო უბანზე. კანონდარღვევის შესახებ ინფორმაცია დამკვირვებლის მიერ შეტანილ იქნა ჩანაწერთა წიგნში.

ყუთის ჭრილს და მიუთითებს ამომრჩეველს მოათავსოს სპეციალური კონვერტი საარჩევნო ყუთში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამომრჩეველს მიეცათ ხმის მიცემის უფლება მართვის მოწმობითა და ვადაგასული პირადობის მოწმობის საფუძველზე<sup>33</sup>. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ დარღვეულ იქნა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, ხმის მისაცემად ამომრჩეველი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას/ID ბარათს ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში – დევნილის მოწმობას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად). ერთიან სიაში რეგისტრირებულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს სთხოვს წარმოადგინოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტი.

კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა საარჩევნო აგიტაციის რამდენიმე ფაქტი საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრის, საარჩევნო სუბიექტისა და ამომრჩევლის მხრიდან, კერძოდ: ტყვიავის #64 საარჩევნო უბანზე მისულმა ამომრჩეველმა რეგისტრატორს (კომისიის წევრს ქართული ოცნებიდან) ჰკითხა თუ ვისთვის მიეცა ხმა, რეგისტრატორმა კი #41 შემოხაზვა ურჩია. აღნიშნულის შესახებ დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს აცნობა, რომელმაც რეგისტრატორი კომისიის წევრი გააფრთხილა<sup>34</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა საარჩევნო უბანზე დააფიქსირა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები ამომრჩეველს მითითებას აძლევდნენ, ხმა მიეცათ კონკრეტული კანდიდატისათვის<sup>35</sup>. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ინფორმაციით, წალენჯიხის რაიონის #68 საარჩევნო ოლქის #2 უბანზე ამომრჩეველთა მხრიდან ადგილი ჰქონდა საარჩევნო აგიტაციას. დამკვირვებელმა აღნიშნულის შესახებ აცნობა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც გაფრთხილება მისცა ამომრჩეველს. ამომრჩევლის მხრიდან საარჩევნო აგიტაციას ადგილი ჰქონდა წალენჯიხის #68 ოლქის #1 საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კაბინაში გაკრულ სიაზე ამომრჩევლის მიერ შემოხაზულ იქნა #41 და #5. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. დამკვირვებლის მითითებით, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშვნა გააკეთა ჩანაწერთა წიგნში

<sup>33</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა დარღვევები დააფიქსირეს მარნეულის #85 და #48 საარჩევნო უბნებზე.

<sup>34</sup> იხ: ინფორმაცია ინტერნეტ-გამოცემა [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge).

<sup>35</sup> აგიტაციის ფაქტი ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ დაფიქსირდა საჩხერის რაიონის #50 საარჩევნო ოლქის #3 საარჩევნო უბანზე.

და შეეცადა დარღვევის აღმოფხვრას. საარჩევნო კოდექსის თანახმად, დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელს უფლება არ აქვს აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაფიქსირდა **საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრის მიერ ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკის და ნიშნის ტარება**, რაც უხეშად ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს. აღნიშნულის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრს უფლება არ აქვს, არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობაში ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი<sup>36</sup>.

წინა არჩევნების მსგავსად, საარჩევნო უბნებზე **კვლავ დაფიქსირდა საზოგადოებისათვის უცნობი დასახელების არასამთავრობო ორგანიზაციები**<sup>37</sup>, რომელთა წარმომადგენლები გასაუბრებისას ვერ ასახელებდნენ თავიანთი ორგანიზაციის დაფუძნების წელს და ხელმძღვანელს. ასეთი ტიპის „დამკვირვებლები“, სავარაუდოდ, საარჩევნო სუბიექტის სატელიტ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, რაც ჩრდილს აყენებს საარჩევნო პროცესში სამართლიანობის პრინციპს<sup>38</sup>.

---

<sup>36</sup> სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს ყუთზე, თვალსაჩინო ადგილას ედო პირადი რვეული, რომლის გარეკანზეც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიმბოლიკა იყო გამოსახული. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დარღვევის თაობაზე შენიშვნა დააფიქსირა ჩანაწერთა წიგნში.

<sup>37</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დუშეთის რაიონის #28 საარჩევნო ოლქის #2, #3 და #52 საარჩევნო უბნებზე იყვნენ გაურკვეველი ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის „მწვანე დედამიწის“ დამკვირვებლები, რომლებმაც არ იცოდნენ, ვინ იყო მათი ხელმძღვანელი ან სად იყო მათი მისამართი. დამკვირვებლის შეკითხვაზე მათ უპასუხეს, რომ იყვნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და რატომ ეკეთათ „მწვანე დედამიწის“ დამკვირვებლის სამკერდე ნიშნები, მათთვისაც გაუგებარი იყო. „მწვანე დედამიწის“ დამკვირვებლები უბნებზე იყვნენ ნეიტრალური და არ ავლენდნენ არანაირ აქტიურობას. ქარელის #33 საარჩევნო ოლქის #2 უბანზე დაკვირვებას ახორციელებდა არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი არჩევანის“ დამკვირვებელი, რომელიც სხვა დამკვირვებლების მიმართ აგრესიულობით გამოირჩეოდა. მოგვიანებით მან ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს განუცხადა, რომ „ქართული ოცნების“ აქტივისტი იყო. თერჯოლის რაიონის #49 საარჩევნო ოლქის #1, #2, #3, #4, #5, #6, #19, #22, #26, #27 საარჩევნო უბნებზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შეინიშნებოდა დამკვირვებლების სიმრავლე. ძირითადად, იყვნენ პარტიებისა და საპრეზიდენტო კანდიდატების დამკვირვებლები, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების სახით.

<sup>38</sup> იხ: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17250&lang=geo>

## ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელშემშლის ფაქტები

მიუხედავად იმისა, რომ წინა არჩევნებთან შედარებით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები გაცილებით მშვიდად წარიმართა, დაფიქსირდა ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის, ზეწოლისა და შეურაცხყოფის ფაქტები. ყვარელში, ჭიკაძის #14 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ივანე სეფიაშვილმა და კომისიის სხვა წევრებმა უბანზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს არჩევნებზე აკრედიტებულ ჟურნალისტს, **კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორს გელა მთივლიშვილს**.

გელა მთივლიშვილმა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთან საუბარში აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარემ მას უბრძანა ეთქვა, რის გადაღებას აპირებდა უბანზე. შემდეგ კი უბნის დატოვება უბრძანა და გარეთ ძალით გააგდო. ჟურნალისტური საქმიანობის ხელშემშლის ფაქტზე ცესკომ არ მოახდინა ადეკვატური რეაგირება და საზოგადოებას მიაწოდა გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რომ თითქოსდა გელა მთივლიშვილი იღებდა საარჩევნო დოკუმენტაციას, რის გამოც მას მოსთხოვეს უბნის დატოვება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შეისწავლა გელა მთივლიშვილის მიერ გადაღებული ვიდეომასალა, სადაც ნათლად ჩანს, რომ ჟურნალისტს საარჩევნო დოკუმენტაციის გადაღება არც უცდია. ჟურნალისტს საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თავიდანვე აგრესიულად შეხვდა და აუკრძალა გადაღება (რისი უფლებაც ჟურნალისტს კანონით აქვს მინიჭებული), შემდეგ კი სიტყვიერი შეურაცხყოფით და ძალის გამოყენებით გააძევა უბნიდან<sup>39</sup>.

„კომისიას უფლება არ აქვს, კენჭისყრის შენობიდან პირი ძალის გამოყენებით გააძევოს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს. თუ კომისია ჟურნალისტს უკრძალავს გადაღებას და ის არ ემორჩილება, კომისიამ უნდა მიიღოს განკარგულება და იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი მაინც არ დაემორჩილება, უნდა გამოიძახოს პოლიცია. კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს არავითარ შემთხვევაში არა აქვთ უფლება, რომ ადამიანი ძალის გამოყენებით გააძევონ და მითუმეტეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენონ. ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი სანქციები უნდა გატარდეს იმ პირების მიმართ, ვისი მხრიდანაც ძალადობას ჰქონდა ადგილი“.<sup>40</sup>

ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადება გაავრცელა ჟურნალისტ გელა მთივლიშვილისათვის ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლასთან დაკავშირებით და

<sup>39</sup> იხ: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17245&lang=geo>

<sup>40</sup> იხ: საარჩევნო საკითხებში ექსპერტის, ნინა ხატისკაცის შესაფება; <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17245&lang=geo>

მოუწოდა ცესკოს, ობიექტურად და მიუკერძოებლად შეესწავლა ჭიკაძის #14 საარჩევნო უბანზე მომხდარი ინციდენტი და მოეხდინა ადეკვატური რეაგირება საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის სხვა წევრების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე. ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა მთავარ პროკურატურას, დაეწყო გამოძიება ჟურნალისტისათვის პროფესიული საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მიხედვით<sup>41</sup>.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორმა გელა მთივლიშვილმა 2013 წლის 28 ოქტომბერს გურჯაანის რაიონულ პროკურატურას წერილობით მიმართა მისთვის პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიების დაწყების თხოვნით<sup>42</sup>.

ქარელის #33 საარჩევნო ოლქის #29 უბანზე ამავე უბნის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე შეეცადა ხელი შეეშალა ადამიანის უფლებათა ცენტრის **ჟურნალისტ ლადო ბიჭაშვილისათვის საარჩევნო უბნის გადაღებაში**. მან ხელი ააფარა კამერას და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა ჟურნალისტს, დაეტოვებინა კენჭისყრის შენობა. ჟურნალისტმა აღნიშნული ფაქტის დაფიქსირება მოახერხა კამერის საშუალებით. გადაღებული ვიდეომასალა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა და ჟურნალისტმა ლადო ბიჭაშვილმა აჩვენეს კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც ახსნა-განმარტების დაწერა მოსთხოვა მის მოადგილეს დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწერა საჩივარი.

ჟურნალისტების მიმართ უხეში მოპყრობა და მათ პროფესიულ საქმიანობაში ჩარევა ეწინააღმდეგება როგორც სიტყვისა და გამოხატვის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას, ისე თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების პრინციპს.

## დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები

ქარელის #33 საარჩევნო ოლქის #1 საარჩევნო საუბნო კომისიის თავმჯდომარემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ დამკვირვებელს საჩივრის დაწერის უფლება არ მისცა. მან უარი განუცხადა დამკვირვებელს საჩივრის რეგისტრაციაში გატარებაზე. დამკვირვებელი საჩივრის დაწერას იმ საკითხთან დაკავშირებით აპირებდა, რომ უბანზე ბიულეტენების რაოდენობა ამომრჩევლების რაოდენობაზე ნაკლები იყო. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ინფორმაციით, „კომისიის წევრი უყვიროდა დამკვირვებელს და არ აძლევდა საჩივრის დაწერის უფლებას“. დამკვირვებელთა ძალისხმევის შედეგად, საჩივრის დარეგისტრირება მოხერხდა.

<sup>41</sup> იხ: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17255&lang=geo>

<sup>42</sup> იხ: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17290&lang=geo>

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს მარნეულის #5 საარჩევნო უბანზე სირთულეები შეექმნა საჩივრის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. მას კომისიის წევრმა განუცხადა, რომ საჩივრის დაწერა არ იყო საჭირო, პრობლემებს საჩივრის გარეშე მოაგვარებდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის დაჟინებული მოთხოვნით, საუბნო-საარჩევნო კომისიის მდივანმა საჩივარი დაარეგისტრირა. ამავე საარჩევნო უბანზე დამკვირვებელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ცესკოს და პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელმა, როდესაც იგი დარღვევებს აფიქსირებდა.

იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები უბნის კონკრეტულ ადგილას დგომას აიძულებდნენ, რაც ხელს უშლიდა დამკვირვებლის არჩევნებზე დაკვირვების განხორციელებაში. საარჩევნო კოდექსის თანახმად, დამკვირვებელს უფლება აქვს, კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან<sup>43</sup>.

კასპის #30 საარჩევნო ოლქის #1 უბანზე, ერთ-ერთი პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს, როდესაც ამ უკანასკნელმა მოსთხოვა პარტიის წარმომადგენელს სამკერდე ნიშნის გაკეთება.

ქარელის #33 საარჩევნო ოლქის #2 საარჩევნო უბანზე დამკვირვებლის უფლებამოსილების განხორციელებისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთან აგრესიულად მიიჭრა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფალი არჩევანის“ წარმომადგენელი და დაჟინებით მოსთხოვა პირადობის მოწმობის გადაცემა, რაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა უარი განაცხადა. აღნიშნულის თაობაზე ცენტრის დამკვირვებელმა აცნობა საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც დამკვირვებელს უპასუხა, რომ იგი ვალდებული არ იყო, დაეცვა დამკვირვებლის უფლებები კენჭისყრის შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი რამდენიმე წუთის განმავლობაში აგრესიულად სთხოვდა დამკვირვებელს პირადობის მოწმობის გადაცემას და უბანზეც შეიქმნა დამაბული მდგომარეობა, კომისიის თავმჯდომარე იყო სრულიად უმოქმედო, იგი შორიდან აკვირდებოდა სიტუაციას. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო „ქართული ოცნების“ აქტივისტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულ ფაქტზე შენიშვნა შეიტანა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

<sup>43</sup> აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა დუშეთის #52 საარჩევნო უბანზე.

## ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა – 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო

### არჩევნების დამახასიათებელი ნიშანი

ადამიანის უფლებათა ცენტრის თითქმის ყველა დამკვირვებელი ანგარიშებში საუბრობდა უბნებზე ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობის თაობაზე<sup>44</sup>.

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა საარჩევნო უბნებზე, რამდენიმე ფაქტორით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. 27 ოქტომბრის არჩევნები არსებითად ახალი დატვირთვის მატარებელია წინა საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით. ამ არჩევნებზე მოქალაქეები ირჩევდნენ პრეზიდენტს, რომლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილებები მეტად მოკრძალებულია, წინა პრეზიდენტის კომპეტენციებთან შედარებით.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია შედის ძალაში, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტს შეკვეცილი უფლებამოსილებები გააჩნია. პრეზიდენტი ქვეყნის არბიტრის, კონსტიტუციის დაცვის, ქვეყნის ერთიანობის გარანტისა და სამხედრო ძალების მთავარსარდლის ფუნქციებს კვლავ ითავსებს. რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკის განხორციელებას, იგი მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში კი საპრეზიდენტო კანდიდატები ისეთ დაპირებებს იძლეოდნენ, რომლებიც ახალი პრეზიდენტის პრეროგატივას სცილდება, კერძოდ საუბარია კონკრეტული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაზე. „ურთიერთგამომრიცხავი უფლებამოსილებებისა და წინასაარჩევნო დაპირებების ფონზე, ამომრჩეველებისათვის წინასაარჩევნოდ შეიქმნა ბუნდოვანი სურათი, გაჩნდა პრეზიდენტის, როგორც კონსტიტუციური ორგანოს დისკრედიტაციის საშიშროება, რომელიც კიდევ უფრო

<sup>44</sup> მარნეულის #2 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 1616 ამომრჩეველი, რომელთაგანაც 467 ადამიანმა მისცა ხმა. 17:30 საათზე საგარეჯოს #11 საარჩევნო ოლქის #46 უბანზე 1500 რეგისტრირებული ამომრჩევიდან 185 ამომრჩეველს ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. მარნეულის რაიონის #5 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული 1400 ამომრჩევიდან, 12:00 საათისთვის 80 ამომრჩეველს ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. დუშეთის რაიონის #28 საარჩევნო ოლქის #3 უბანზე 1331 ამომრჩევიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 578 ამომრჩეველმა. ზუგდიდის #67 საარჩევნო ოლქის #83 უბანზე რეგისტრირებული 1214 ამომრჩევიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 325 ამომრჩეველმა. საგარეჯოს რაიონის #11 საარჩევნო ოლქის #48 უბანზე რეგისტრირებული 1334 ამომრჩევიდან 17:00 საათისთვის არჩევნებში მონაწილეობა მიღებული ჰქონდა 275 ამომრჩეველს. კასპის რაიონის #1 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 1335 ამომრჩეველი, 17:00 საათისთვის კი კენჭისყრაში მონაწილეობა მიღებული ჰქონდა 515 ამომრჩეველს. ზუგდიდის #67 საარჩევნო ოლქის #9 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული 1418 ამომრჩევიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 486 ამომრჩეველმა. ბათუმის #35 საარჩევნო უბანზე 1450 რეგისტრირებული ამომრჩევიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 628 ამომრჩეველმა.



მეტად გაამძაფრა კანდიდატთა უჩვეულო სიმრავლემ და რიგმა განცხადებებმა საპრეზიდენტო მარათონის დაწყებისას“.<sup>45</sup>

## ხმის დათვლის პროცესი

ამომრჩეველთა ხმების დათვლის პროცესი, ძირითადად, გამჭვირვალედ, ობიექტურად და სამართლიანად წარიმართა. 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დადებით მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ დამკვირვებლებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა, შეუფერხებლად დაკვირვებოდნენ ხმის დათვლის პროცესს, განსხვავებით წინა არჩევნებისგან, როდესაც დამკვირვებლებს დიდწილად არ ეძლეოდათ სადამკვირვებლო უფლებამოსილების განხორციელების საშუალება, კომისიის წევრები მათ აყენებდნენ სიტყვიერ და ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფას, რაც საბოლოოდ სრულდებოდა დამკვირვებელთა უბნიდან გაძევებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის წევრთა მიერ ძირითადად დაცული იყო საარჩევნო კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. კერძოდ, კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით არჩევდა არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან, ურთიერთშეთანხმებით, არჩევდნენ არაუმეტეს ორ მეთვალყურეს. იყო შემთხვევები, როდესაც დამკვირვებლების შეუთანხმებლობის გამო, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით არჩევდა კომისიის თავმჯდომარე.

ხმის დათვლის პროცესში მცირედი დარღვევები განპირობებული იყო არა არჩევნების გაყალბების სურვილით, არამედ საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრთა არასათანადო კვალიფიკაციით. ძირითადად, სათანადო წესების დაცვით ხდებოდა საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები, ამომრჩეველთა სიების, გაფუჭებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა, საარჩევნო ყუთის გახსნა, ბიულეტენების დახარისხება და დათვლა, საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა. **დაცული იყო შემაჯამებელი ოქმის საჯაროობის პრინციპი.** თუ წინა არჩევნების დროს შეინიშნებოდა გარკვეული სირთულეები დამკვირვებლების მიერ შემაჯამებელი ოქმების ასლების მოპოვებისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა ინფორმაციით, 27 ოქტომბრის არჩევნებზე კომისია მოთხოვნის

<sup>45</sup> საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის შეფასება, იხ.: [http://primetimenews.ge/?page=3&news\\_id=20756](http://primetimenews.ge/?page=3&news_id=20756)

შემთხვევაში, ბეჭდით დამოწმებული შემაჯამებელი ოქმის ასლს გადასცემდა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს<sup>46</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს იმ ამომრჩეველთა ბიულეტენების გაბათილების დაკანონება, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენში ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი გადახაზა და ამით დააფიქსირა თავისი საპროტესტო პოზიცია ყველას მიმართ. ასეთი კატეგორიის ამომრჩეველთა ბიულეტენები, არსებული საარჩევნო კანონმდებლობით, ხმის დათვლისას გაბათილდება, რაც სერიოზულად დააზარალებს ამომრჩეველთა მიერ გამოხატული ნების საერთო სტატისტიკას. ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი, რადგან წინა არჩევნებისას, ამომრჩეველთა საპროტესტო ხმა ფიქსირდებოდა და შემაჯამებელ ოქმში იყო გრაფა, რითაც ყველას წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობაც ითვლებოდა<sup>47</sup>.

## კენჭისყრის დღის საჩივრები და შენიშვნები ჩანაწერთა წიგნში

27 ოქტომბრის არჩევნები, გასული წლების არჩევნებთან შედარებით, საჩივრების სიუხვით არ გამოირჩეოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა ქარელის #33 საარჩევნო ოლქის #2 და #29 საარჩევნო უბნებზე. საჩივრები შეეხებოდა დამკვირვებლისა და ჟურნალისტის საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებს. ზუგდიდის #67 ოლქის #83 უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ საჩივარი დაიწერა არჩევნების მიმდინარეობისას საუბნო-საარჩევნო კომისიის მიერ სპეციალურ სიაში კომისიის ორი წევრის დამატების თაობაზე.

---

<sup>46</sup> კასპის რაიონის #30 საარჩევნო ოლქის #2 უბანზე ხმის დათვლისას ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი ახორციელებდა მეთვალყურეობას. დამკვირვებლის ინფორმაციით, საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წილისწერით გამოავლინა სამი მთვლეელი. დამკვირვებლებიდან მეთვალყურის ფუნქცია ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს ერგო. კომისიის თავმჯდომარემ უბანზე მყოფი წარმომადგენლებისგან წილისწერით გამოავლინა ორი წარმომადგენელი, რომლებიც მთვლელებს ეხმარებოდნენ ბიულეტენების დათვლაში. კომისიის მდივანმა თავმჯდომარესთან ერთად შეავსო შემაჯამებელი ოქმი, რომლის ბეჭდით დამოწმებული ასლი გადაეცა დამკვირვებელს. ზუგდიდის #67 ოლქის #83 უბანზე ხმის დათვლის პროცესს უშუალოდ აკვირდებოდა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი. აღნიშნულ უბანზე ხმის დათვლის პროცესმა სირთულეების გარეშე ჩაიარა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში განთავსებული #21 საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესი დარღვევების გარეშე ჩატარდა. თითოეულმა რეგისტრატორმა დაითვალა გაცემული და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა და ამომრჩეველთა ხელმოწერები. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საჩხერის რაიონის #50 საარჩევნო ოლქის #3 უბანზე ხმის დათვლის პროცესი გამჭვირვალედ და სამართლიანად წარიმართა, დამკვირვებელს შეუფერხებლად გადაეცა შემაჯამებელი ოქმის ასლი. უმნიშვნელო დარღვევების მიუხედავად, ხმის დათვლის პროცესის კანონიერად წარმართვაზე საუბრობენ ადამიანის უფლებათა ცენტრის სხვა დამკვირვებლებიც.

<sup>47</sup> იხ: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17250&lang=geo>

ცენტრის დამკვირვებელმა სამი საჩივარი დააფიქსირა მარნეულის რაიონის #5 საარჩევნო უბანზე. საჩივრები შეეხებოდა საკონტროლო ფურცლის მოთავსებას სპეციალურ კონვერტში პირველი ამომრჩევლის ბიულეტენთან ერთად, ამასთანავე, ხმის დათვლის პროცესის დროს კენჭისყრის შენობაში პარტიათა წარმომადგენლების შემოსვლის ფაქტს და ხმის დათვლის პროცედურის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ საჩივარი დაიწერა ბათუმის #94 უბანზე. საჩივარი ეხებოდა სადემონსტრაციო ოქმის ფანქრით შევსების ფაქტს. საჩივარი დაიწერა ბათუმის #7 საარჩევნო უბანზე, რომელიც ეხებოდა ერთი პოლიტიკური პარტიის სამი წარმომადგენლის ყოფნის ფაქტს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა მარნეულის #22 ოლქის #5 უბანზე. საჩივარი შეეხებოდა კენჭისყრის შენობაში პოლიტიკური პარტიის სამი წარმომადგენლის ყოფნის ფაქტს. კენჭისყრის დღის უმნიშვნელო პროცედურულ დარღვევებს ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები აფიქსირებდნენ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

## რეკომენდაციები

დემოკრატიული მმართველობის სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას, რასაც დიდწილად საარჩევნო სისტემა განაპირობებს. აუცილებელია, შეიქმნას ისეთი საარჩევნო გარემო, რომელიც უპასუხებს დემოკრატიის მაღალ პრინციპებს და შექმნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიებს. სწორედ ამიტომ, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ უნდა გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

- დახვეწოს საარჩევნო სიები, რადგან იგი მუდმივად იცვლება და საჭიროებს განახლებას და სრულყოფას.
- გააგრძელოს საარჩევნო სისტემის რეფორმა, ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის - არასამთავრობო სექტორის მონაწილეობითა და ჩართულობით.
- გადახედოს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებს, რათა ისინი შეესაბამებოდეს ვენეციის კომისიის დასკვნებსა და რეკომენდაციებს.
- სათანადო ყურადღება მიაქციოს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრების კვალიფიკაციის ამაღლებას, საარჩევნო კანონმდებლობისა და პროცედურების ცოდნის კუთხით.

- გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები წინასაარჩევნო და კენჭისყრის დღის განმავლობაში, მედიასაშუალებების თავისუფლად და შეუფერხებლად საქმიანობის კუთხით.
- ნათლად გაწეროს კონსტიტუციური ნორმა, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების რეგლამენტაციასთან დაკავშირებით, რათა გაიმიჯნოს პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნის უფლება და უფლება, დაიკავოს პრეზიდენტის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობა.
- გაატაროს ღონისძიებები, რათა პრეზიდენტობის კანდიდატებმა თავი შეიკავონ საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებისაგან.
- გაატაროს ღონისძიებანი, რათა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია მომავალი არჩევნების დროსაც არ იქცეს პოლიტიკური დაპირისპირების არენად, რათა მან ხელი შეუწყოს თავისუფალი და სამართლიანი გარემოს შექმნას.
- სათანადო მექანიზმების შემუშავებით, უზრუნველყოფილ იქნას პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა მხრიდან სააგიტაციო განცხადებების გაკეთების პრევენცია.
- შევიდეს შესაბამისი ცვლილება საარჩევნო კანონმდებლობაში, რათა გაუქმდეს იმ ამომრჩეველთა ბიულეტენების გაბათილების წესი, რომელთაც საარჩევნო ბიულეტენში ყველა კანდიდატი გადახაზა და ამით დააფიქსირა თავისი საპროტესტო პოზიცია ყველა კანდიდატის მიმართ.